დანართი №1

2014 წლის 20 იანვარს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის
შესახებ ს და ს №13-14 (CMR 140017352) ხელშეკრულებაზე

თბილისი 17 07 2014წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მისი თავმჯდომარის მოადგილის **გივი ჩოჩიას** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და **შპს „გუდვილი“**, მისი გენერალური დირექტორის **ზესიკ ჯიქურაულის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, მიმწოდებელი ორგანიზაციის 2014 წლის 08 ივლისის N5/573 წერილისა და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.4 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებისათვის, სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების მოწოდების შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 20 იანვარს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ს და ს №13-14 ხელშეკრულების პრეამბულაში და მე–16 მუხლში, სადაც მითითებული შპს „გუდვილი“ და იგი შეიცვალოს სს „გუდვილ“–ით.

2. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გივი ჩოჩია	მიმწოდებელი სს „გუდვილი“ გენერალური დირექტორი ზესიკ ჯიქურაული